**თარაზულად:** 1. საფეიქრო წარმოებაში ძალზედ მნიშვნელოვანი ბანანისებრი მცენარე. 4. რაიმე გამოსახულების ანაბეჭდი ქაღალდზე. 7. ამერიკული თოჯინა. 14. იგივეა, რაც მეზარბაზნე. 15. გადაშენებული ფლორისა და ფაუნის მკვლევარი მეცნიერი. 17. გვარი გამომგონებლისა, რომელმაც დედამიწაზე პირველი - სტოქტონიდან დარლინგტონში მიმავალი - რკინიგზის ლიანდაგი ააგო. 18. მსახიობის სახესხვაობა. 20. ასთვალა მცველი, რომელიც ჰერამ მიუჩინა იოს და შემდგომში ჰერმესის მიერ იქნა მოკლული. 21. ვულკანური წარმოშობის მინა. 22. ჭრილობაზე დასადები საამებელ-სამკურნალო დანიშნულების მქონე საშუალება. 26. მეშახტე მუშა, რომლის შრომისნაყოფიერებასაც შემდგომში მთელი სსრკ-ს მუშები ბაძავდნენ. 27. ქალაქი ფეოდალურ საქართველოში, მდინარე ტანის ორივე ნაპირზე. 31. შესრულებული სამუშაოს ფულადი ანაზღაურება. 32. რა ეწოდება მშობელთა თავშეყრას სკოლაში? 33. იუპიტერის მეუღლე ძველ რომაულ მითოლოგიაში. 36. საკუთარი შეხედულების ან სურვილის მიხედვით მოქცევის უფლება. 37. პირველი მსხვერპლი ადამიანური მტაცებლობისა. 38. ქართული თეატრისა და კინოს ერთ-ერთი დიდება. 42. ფორმულა 1-ის შეჯიბრებაში მონაწილე გუნდი, რომელსაც აირტონ სენა წარმოადგენდა. 43. ცნობილი რუსი მოგზაური, რომელმაც აზიასა და ამერიკას შორის არსებული ბერინგის სრუტე აღმოაჩინა. 46. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი. 47. როგორი ადამიანია კვლავაც ჭარმაგი და მხნე მამაკაცი? 48. ჭადრაკის ფიგურა. 52. საკონცერტო ორგანიზაცია, რომლის მიზანიც მუსიკალური ხელოვნების პროპაგანდა გახლავთ. 53. საოფისე ტექნიკის მწარმოებელი იტალიური უმსხვილესი კომპანია. 56. პუშკინისეული ევგენი ონეგინის მშობლიური მდინარე. 57. ქალაქ ცხინვალის ყოფილი სახელწოდება. 58. ყოფილ საბჭოეთში მეტად პოპულარული ერთი პოლონური სერიალის მთავარი პერსონაჟის გვარი გაიხსენეთ. 62. მატერიის სახესხვაობა, რომელსაც სახელი ქალაქ გენუამ შეუქმნა. 63. სამოღვაწეო ადგილი ადამიანებისა, რომელთა ძირითადი საქმიანობასაც ლაპარაკი წარმოადგენს. 64. წუხილი, დარდი, ოხვრა... კიდევ? 68. ლუჩიას გვარი გაეტანო დონიცეტის ოპერის სათაურიდან. 69. მეცნიერება, რომელიც სხვადასხვა ისტორიული ცივილიზაციების ყოფა-ცხოვრებას შემონახული ნივთიერი ძეგლების მიხედვით სწავლობს. 72. ქალაქი პორტი ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილში. 73. სუფთა მოგება ძიუდოში. 74. თვითმფრინავის საჭე. 77. ერნესტ ჰემინგუეისეული მოხუცის სახელი გაიხსენეთ. 78. კაზაკთა სოფელი. 79. კნუტ ჰამსუნის მშობლიური ქვეყნის დედაქალაქი. 80. მიმდინარეობა ბიოლოგიაში, რომელიც ყოველ ცოცხალ ორგანიზმში ზებუნებრივი ძალის არსებობას ცნობს. 81. ბერძენი მწერალი, ავტორი რომანისა „ბალთაზარ კოსა“.

**შვეულად:** 2. ხარების ოჯახის წარმომადგენელი „გარეული ხარი“. 3. მუხტების დასაგროვებელი ფიზიკური ხელსაწყო. 5. ყაზახი პოეტი-განმანათლებელი. 6. სამხრეთ აფრიკის დედაქალაქი. 8. კუნთების მოდუნება სამედიცინო ენაზე. 9. პატარა რვეული საჩქარო ჩანაწერების გასაკეთებლად. 10. ებრაული წარმოშობის ნიდერლანდელი მოაზროვნე, ურიელ.... 11. იულ ბრინერის კინოპერსონაჟის სახელი ფილმში „შესანიშნავი შვიდეული“. 12. გლობალური კომპიუტერული ქსელი, რომელსაც ბოლო დროს „მეშვიდე კონტინეტს“ უწოდებენ. 13. ცხოველის ცოცხლად გაკვეთა რომელიმე ორგანოს შესწავლის მიზნით. 16. ახალგაზრდა ვერთერის „რა“ აღწერა გოეთემ? 19. ცხენის ქვედა ტუჩი. 23. ტიპიურად როგორია რაიმე აზრით შეპყრობილ-აკვიატებული კაცი? 24. ცნობილი ესპანელი ველომრბოლელი, მიგელ.... 25. ფანქრების მწარმოებელი ჩეხური კომპანია. 28. ტიპი ადამიანისა,რომელიც სხვის მიერ შექმნილი ფასეულობათა შკალით ხელმძღვანელობს და საკუთარი არა გააჩნია რა. 29. რა არსებობს „ოქროსი“ თბილისში? 30. წარმოსახვითი ხაზი, სადაც მიწა-ხმელეთს უერთდება და სადაც ილტვიან რომანტიული ადამიანების ფიქრები. 34. სადაური იყო (ქალაქი იგულისხმება) მიქელანჯელო ბუონაროტი. 35. ჩვენი მინერალური წყალი. 39. საეკლესიო დასჯის სახესხვაობა. 40. ქართული ხალხური სამსიმიანი საკრავი. 41. რა ერქვა ისლანდიელ პოეტს, გვარად სტურლუსონს, „უმცროსი ედის“ ავტორს? 44. პირველი რუსი ნობელის პრემიის ლაურეატი. 45. გვარი, რომელსაც ჰიტლერს მიაწერენ, სინამდვილეში კი ამ გვარს მისი მამინაცვალი ატარებდა. 49. პირამიდების დარაჯი. 50. ჰენრი რაიდერ ჰაგარდის რომანის სათაურში დაფიქსირებული აცტეკების უკანასკნელ იმპერატორი. 51. ჰუნების ლეგენდარული წინამძღოლი. 54. ტირიფისებრთა ოჯახის მცენარე. 55. ცნობილი რუსი მათემატიკოსი. 59. მექანიკის ნაწილი. 60. რაიმე წარმოებაში კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება. 61. საკუთარ რწმენისადმი ბრმად მოთაყვანე ადამიანი. 65. სახელმწიფო ინდო-ჩინეთის ნახევარკუნძულზე. 66. პატარა და მოლეული ადამიანის მოსახსენიებელი სიტყვა. 67. სახელი ქალისა, რომელმაც მავან კარლს კლარნეტი მოპარა... ენის გასატეხში. 70. დიდი სპარსი მონარქი. 71. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი. 75. ცეცხლის ინდური ღვთაება. 76. ჩაპაევის მეტყვიამფრქვევე ქალი.

## 2002 წლის გაზაფხულის საკროსვორდო ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. VI ტური.



**თარაზულად**:

1. დუმბაძის პერსონაჟი „თანაკლასელის“ სტატუსით

**4**. (**საპრიზო კითხვა №1**) აფხაზური ხაჭაპური. (ქართული ლიტერატურის კლასიკაში გხვდება, ბატონებო და ქალბატონებო!)

8. ერთ სპეციფიურ რეგიონში ლოკალიზებული დაავადება, რომლის მსხვერპლიც განსაკუთრებული აგრესიულობით ხასიათდება. 14. ომის მონაწილის შესაძლო სტატუსი ზედსართავი სახელის ფორმით. 15. 70-იანი წწ ცნობილი პოლონელი ფეხბურთელი.

**17**. (**საპრიზო კითხვა №2**) ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება, რომელიც ძალიან დიდ როლს ასრულებს ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემის რეგულაციაში. მისი ცვლის მოშლა იწვევს მრავალ მძიმე დაავადებას. (ხომ გაგაფრთხილეთ!)

18. გიორგი ჭანტურიას ერთ-ერთი საქმიანობა. 21. ადგილი, სადაც 1955 წლის ოქტომბერში თბილისში ტრაგედია დატრიალდა. 22. ბევრი დეტექტიური ნაწარმოების „მოქმედი პირი“.

**23**. (**საპრიზო კითხვა №3**) სოფლად ბიომეურნეობების ჩამოყალიბების ხელშემწყობი ორგანიზა–ცია საქართველოში. (ჩქარა, ტელეფონი! ჩემი კი არა (~~*გიორგი ვეკუასი*~~), „კომპეტენტური ორგანოების“!)

27. მხატვრობის და მსუბუქი მრეწველობის გამაერთიანებელი სიტყვა.

**28**. (**საპრიზო კითხვა №4**) იმ თვრამეტკაციანი ჯგუფის მეთაური, რომელმაც 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი განახორციელა.

29. შეყვარებულ-შეწუხებული კაცის ხმიანობა. 30. ერთ-ერთი მაღრიბული ქვეყნის მმართველთა ტიტული XVII-XX საუკუნეებში. 31. ვალუტა, რომელმაც დოლარს კონკურენცია ვერ გაუწია თავისი „არასრულფასოვნების“ გამო.

**36**. (**საპრიზო კითხვა №5**) პიროვნება, ვის ფინანსურ აფიორასაც ემსახურებოდა რუსული ტელერეკლამის ყველაზე ცნობილი პერსონაჟი ლიონია გოლუბკოვი.

37. მავანი ტანკრედის, ბოემუნდის თუ გოდფრუა ბუიონელის სტატუსი. 41. პირველი ქართული რეგულარული ჯარის სახელწოდება. 42. წმინდა გიორგის სახელობის ძველი ეკლესია ხარაგაულის რაიონში.

**43**. (**საპრიზო კითხვა №6**) გვარი კაცისა, რომელიც ზუსტად საფრანგეთ-იტალიის საზღვარზე მდებარე დუქანში დაიბადა.

47. ერთ-ერთი ის, რაც ბუნებაში მუდმივია. 48. სახელი კაცისა, რომელიც თავისი მამის სახელობის ქუჩაზე ცხოვრობს თბილისში ამჟამად. (მისი სახელობის ქუჩაც იარსებებს, ალბათ, როდისმე). 49. სპარსული წარმოშობის სიტყვა, რომელიც ქართულში სულ სხვა მრისხანე მტაცებელს აღნიშნავს, ვიდრე მშობლიურ ენაზე.

**53**. (**საპრიზო კითხვა №7**) მელნის ხე, ინდური თხილი, კეშიუ... ამ მცენარის კიდევ ერთი სახელი გაიხსენეთ.

54. პერსონალური კომპიუტერის მოდელი, რომელიც „ვაშლს“ უკავშირდება. 55. ყველაზე გრძელი ქვეყნის დედაქალაქი.

**58**. (**საპრიზო კითხვა №8**) ადგილი, საიდანაც მსოფლიო ისტორიაში უნიკალური და „არატრადიციული“ ომი დაიწყო.

59. რაიმე ორგანის დაჩიავება მეცნიერულ ენაზე. 60. ინდური კერძი, რომელიც საკმაოდ პოპულარულია ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებში. 64. ჯაყელთა საგვარეულოს საპატივსაცემო წარმომადგენელი ჩვენი ისტორიიდან. 65. ბოტანიკის და საქართველოს ერთ-ერთი ტოპონიმის გამაერთიანებელი სიტყვა.

**66**. (**საპრიზო კითხვა №9**) რა არის მერცხლის ბუდე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბევრი მაცხოვრებლისთვის?

67. ლუარსაბის შემშინებელი „ნივთის“ სინონიმი. 68. ქართველი მსახიობი, რომელიც ბოლო წლებში მარტო მოღვაწეობს სცენაზე.

**69**. (**საპრიზო კითხვა №10**) თარგმნეთ ერთ-ერთ ენაზე სიტყვა „სტუდენტი“, რათა მიიღოთ აწ უკვე ყველასათვის ნაცნობი და მავან მშვიდობისმაძიებელტა პირზე მიკერილი სიტყვა.

**შვეულად**:

**1**. (**საპრიზო კითხვა №11**) „ვარდის კუნძული“.

2. ბოლო დროის ქართული ჰიტ-პარადების სათავეში „მყოფი“ სატრანსპორტო საშუალება.

**3**. (**საპრიზო კითხვა №12**) საბჭოელი, რომლის ჩამოხრჩობა, ჩვენში გავრცელებული აზრით, ძალიან უნდოდა ჰიტლერს მოსკოვის აღების შემდეგ.

5. ის, რისი შემოღებაც უშველის ჩვენი მთავრობის საქმიანობას... მავანთა მტკიცებით. 6. ტოლსტოის "ჰაჯი-მურატისთვის" ტიპიური მოქმედების ადგილი. 7. ცნობილი საბჭოთა კინორეჟისორი. 9. მის დასაჩუქრებაზე ხშირად გვაუწყებენ საგაზეთო თუ სატელევიზო განცხადებები. რა იგულისხმება?

**10**. (**საპრიზო კითხვა №13**) „თეთრი სახლი“ - ესპანურად.

11. ერთი მოხერხებული პერსონაჟის მიერ მყარი სხეულიდან მიღებული რამ. 12. ჩვენში პოპულარული მაიონეზი.

13. ცნობილი მსახიობი (......) გრანტი. 16. ჩინეთში დაბადებული ქართველი მწერალი.

**19**. (**საპრიზო კითხვა №14**) მატყლივით რომ ჩეჩავს ღრუბელს, ერთი ხევსური მოლექსის თქმით.

20. ინგრედიენტი, რომელსაც ზოგი დიასახლისი ხშირად იყენებს, ზოგი კი მის გარეშეც იოლად გადის. 24. დახურული შიდა ეზო ძველ რომაულ არქიტექტურაში, რომლის გამოყენება შენობის შიდა სივრცის სახით განაახლა ერთმა ამერიკელმა არქიტექტორმა გასული საუკუნის 60-იან წლებში. 25. ქართული ფოლკლორის და მას-მედიის საერთო სიტყვა.

**26**. (**საპრიზო კითხვა №15**) „ილიადის“ ავყია და „ინტრიგანი“ პერსონაჟი, რომლის სახელი საზოგადო სიტყვად იქცა.

**32**. (**საპრიზო კითხვა №16**) (თუნდაც) გველის მიერ ტყავის გამოცვლა, ანუ?

33. კომპიუტერული კომპანია, რომლის პროგრამითაცაა აწყობილი თუნდაც ეს კროსვორდი.

**34**. (**საპრიზო კითხვა №17**) სიტყვა, რომლითაც ბერძნები, შემდგომში თურქები მოიხსენიებდნენ ალბანელებს, ზოგჯერ კი მათ წინააღმდეგ მებრძოლ ქართველებსაც.

35. ერთობ თავისებური „წესრიგის“ დამყარებაზე მეოცნებე ადამიანი. 38. ის, რისი არსებობითაც გამოირჩეოდა 80-იან წლებში მოსკოვის „ტორპედოს“ სტადიონი. 39. ფინიკიური წარმოშობის ღვთაება. 40. ვინ იყო რიჩარდ ლომგული დინასტიურად?

**44**. (**საპრიზო კითხვა №18**) კისა ვორობიანინოვის ოსტაპისეულ „სარეკლამო“ დახასიათებაში შემავალი ერთ-ერთი სიტყვა.

45. ნაირგვარი პრეზენტაციების ყველაზე „სასიამოვნო“ ნაწილი. 46. სილიკატების კლასის მინერალი, იყენებენ ცეცხლგამძლე მასალის წარმოებაში. (მიაქციეთ ყურადღება „ცეცხლგამძლეს“!) 50. სკვითური ხანჯალი. 51. ის, რაც გამოიგონეს 1801 წელს ამერიკელმა ჰოკინსმა და ავსტრიელმა მიულერმა. 52. ძველ რომაელთა ლეგენდარული მამამთავრის მეუღლე. 56. გივი მარგველაშვილის რომანი. 57. ვთქვათ, მოცემულია ინტერნეტული საიტის მისამართი: **www. people.ge** რა ტერმინით აღინიშნება ამ მისამართის ნაწილი **.ge**? (ისევე, როგორც **.com** ან **.ru** და ა.შ.) 61. „უხილავი“ ფიზიკური ობიექტის სახელწოდებაში შემავალი სიტყვა.

**62**. (**საპრიზო კითხვა №19**) თბილისის ქუჩებში ამგვარი რამ მე პირადად მხოლოდ ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მშენებლობის სამინისტროს სიახლოვეს მინახავს. წინათ ოთხი იყო, ახლა სამია... ჩაწერეთ ის ერთი სიტყვით.

**63**. (**საპრიზო კითხვა №20**) ის, რაც შეიძლება დაადგეს კაცს... და ქალსაც, თუ შესაბამისად გამოიდო თავი.

**შეადგინა გიორგი ვეკუამ**

**კიდევ 10 ქულას მიიღებთ თუ გვიპასუხებთ მე-18 გვერდის კითხვებზე**

ამ კროსვორდის შექმნის იდეა ჩაისახა ა.წ. 7 მარტს, როცა ჩვენი ჩემპიონატის წამყვანმა მოთამაშეებმა უკვე ცნობილ „აკვარიუმიან კაფეში“ მოიყარეს თავი, სადაც ბატონმა გიორგი ვეკუამ გამოთქვა აზრი, რომ შეადგენდა ისეთ კროსვორდს, რომელიც სისხლს გაუშრობდა ჩემპიონატის ვარსკვლავებს. ამ იდეას აქტიურად დაუჭირა მხარი ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა (...და ვარსკვლავების მთავარმა სისხლისგამშრობმა) და შედეგიც კარგი მიიღო მართლაც მშვენიერი საკროსვორდო თხზულების სახით რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ ავტორს. აღნიშნული შეხვედრის საგანგებო „თავმჯდომარემ“, ქალბატონმა მარინე ხაჩირაშვილმა კი კოლეგებს მოუწოდა, რომ თავი არ შეერცხვინათ მათზედ დაგეშილი საძაგელი და ბოროტი კროსვორდისტების წინაშე!...

...შეხვედრამ გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა!

## 2002 წლის გაზაფხულის საქროსვორდო ჩემპიონატი. პირველი ლიგა. VIII ტური



1. რა არის თავისი არსით თუნდაც „კიბნეკაისე“. 2. გაუნათებელი სივრცის გამომხატველი ერთ-ერთი სიტყვა. 3. კონდიტერული ნაწარმის სახესხვაობა. 4. საერთაშორისო ორგანიზაციების - იუნიდო-სა და მაგატე-სა ადგილსამყოფელი. 5. ტიტული“, რაც „დამწყებ ადამიანს“ ორიოდე კვირის განმავლობაში განათლებულ პიროვნებად ჩამოყალიბების იმედს უსახავს.

6. **(საპრიზო კითხვა №1)** თანამედროვე ქართველი კომპოზიტორი, ბატონი გურამი.

7. სცენის ასოციაციური პარტნიორი ხელოვნების სხვა სფეროში. 8. იატაკის ერთგვარი საფარი საშუალება.

9. **(საპრიზო კითხვა №2)** კაცი, რომელმაც მუსიკა შეუთხზა ამ (თარგმნილ) სიტყვებს:

მე ვკითხე იფანს,
სადაა ჩემი საყვარელი?
იფანმა კი შემოდგომის
ფოთლები მომაყარა...

10. **(საპრიზო კითხვა №3)** „კალიების“ ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი საფეხბურთო სამყაროდან.

11. საუბარი ასეთიც შეიძლება იყოს.

12. **(საპრიზო კითხვა №4)** საკოლმეურნეო მშენებლობის ცნობილი წარმომადგენელი კაცი სამეგრელოს რეგიონიდან.

13. პელესა და ჟაირზინიოს პარტნიორი. 14. გულის დაამებისათვის განკუთვნილი მედიკამენტი. 15. როგორ უნდა მიმართო, თუ ვინმე გრეთჰენთან ან ჰერტრუდასთან გიწევს საუბარი? 16. კითხვა №4-ში ნაგულისხმებ „ადგილსამყოფელთან“ უშუალოდ დაკავშირებული პიროვნება.

17. **(საპრიზო კითხვა №5)** პერსონაჟი სპექტაკლისა „კავკასიური ცარცის წრე“.

18. თუ „მაიმუნების პლანეტა“ წაკითხული გაქვთ, გეხსომებათ, რა დაარქვა ამ პლანეტას ნაწარმოების მთავარმა გმირმა, ულის მერუმ. 19. ქართული ესტრადის მომღერალი. 20. საგანგებოდ გამიზნული საუბრის სახესხვაობა. 21. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი „ლუიჯი“, რომელიც ჩვენს ცნობიერებაშია შემორჩენილი. 22. 70-იანი წწ პოპულარული საბჭოური საბავშვო სიმღერის პერსონაჟი რუსი ბიჭუნა. 23. რელიეფის შემადგენელი ნაწილი. 24. ყველაზე ცნობილი ქალბატონი კარლო გოლდონის დრამატურგიიდან. 25. მამაკაცის ზედა სამოსის სახესხვაობა.

26. **(საპრიზო კითხვა №6)** რომაულ მითოლოგიაში: დამტირებელთა სამგლოვიარო სიმღერაც და ამავე პროცესთან დაკავშირებული ქალღმერთიც.

27. ცნობილი ნორვეგიელი მოგზაური და პოლარული მკვლევარი. 28. ქალაქი საფრანგეთში. 29. საფრანგეთის ისტორიული რეგიონი.

30. **(საპრიზო კითხვა №7)** ქართული პარლამენტარიზმის ჩამოყალიბებისათვის ხმარებული ერთ-ერთი ყველაზე არაორდინალური და არატრადიციული საშუალება.

31. ქალაქი სამხრეთ ნორვეგიაში.

32. **(საპრიზო კითხვა №8)** 50-60-იანი წლების პოპულარული იტალიელი მომღერალი მამაკაცი.

33. **(საპრიზო კითხვა №9)** თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ინგლისელი თეატრალური მსახიობი.

34. **(საპრიზო კითხვა №10)** ეტიმოლოგიური მნიშვნელობით „მეცხრე“ თვის შესაბამისი ძველქართული ვარიანტი.

35. ახლადწამოჩიტული ევროპული ფინანსური ცნება. 36. ყველაზე ცნობილი „უცხვირპირო“ არსება. 37. მორიდება-მოშიშობის გამომხატველი ერთ-ერთი სახელზმნა. 38. ბაასის პარტნიორი. 39. ანტიჰეპორტონული მედიკამენტი.

40. **(საპრიზო კითხვა №11)** კომუნისტური ცეცხლის მიღების საშუალება.

41. **(საპრიზო კითხვა №12)** პელესა და ჟაირზინიოს კიდევ ერთი პარტნიორი.

42. ძველრომაელთა საბრძოლო ნიჩბებიანი ხომალდი. 43. ბეთჰოვენის ერთ-ერთი საფორტეპიანო ნაწარმოების სახელი. 44. მთების მიხვეულ-მოხვეული გზა.

45. **(საპრიზო კითხვა №13)** სახელი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართველი კინოოპერატორისა.

46. მუსიკალური ინსტრუმენტის სახესხვაობა.

47. **(საპრიზო კითხვა №14)** პატარა საგნების აღმნიშვნელი ფრანგული სიტყვა, რაც ჟარგონში ირონიულობის ელფერით შეიმოსა

48. **(საპრიზო კითხვა №15)** დედამიწას ასეთი შრეც გააჩნია.

49. დიპლომატური კორპუსის წარმომადგენელი ძველად. 50. ერთგვარი კრიტიკული სიტუაცია. 51. რუსული ესტრადის მომღერალი. 52. როგორ შეგვიძლია ვთქვათ სხვაგვარად - „სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაცია“. 53. ძვირფასი ქსოვილის შესაბამისი ერთ-ერთი სიტყვა, რაც ადრეულ საუკუნეებში იხმარებოდა. 54. აფრიკის სახელმწიფო ჩადის ტერიტორიაზე არსებული ტომიც და უძველესი არქეოლოგიური კულტურის სახელიც. 55. ბავშვისათვის განკუთვნილი საძილე მოწყობილობის ინვენტარი.

56. **(საპრიზო კითხვა №16)** მზერა შეიძლება ასეთიც იყოს.

57. ლიტერატურული ნაწარმოებებიდან ჩვენს ცნობიერებაში შემოსული ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი (*ბატონი ნუგზარ ჯუღელის თქმისა არ იყოს* - „არც მეტი, არც ნაკლები“) ძაღლი. 58. იტალიის საფეხბურთო კლუბი. 59. რუსეთის საფეხბურთო კლუბი. 60. XX საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გერმანელი ფიზიკოსი. 61. პირუტყვის მდგომარეობა, როცა მას ადამიანისაგან მცირეოდენ უფრო მეტი პატივი მიეგება ხოლმე, ვიდრე ჩვეულებრივ.

62. **(საპრიზო კითხვა №17)** XIX-XX საუკუნეების ზღვარზე მოღვაწე ცნობილი ფრანგი მხედართმთავარი, მარშალი, მინისტრი და ა.შ.

63. **(საპრიზო კითხვა №18)** XX საუკუნის მორდოვეთის ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენელი, დამსახურებული პოეტი, პროზაული კრებულების ავტორი.

64. ერთ-ერთი აფრიკული საელმწიფოს დედაქალაქი.

65. **(საპრიზო კითხვა №19)** ფრიად აღმოსავლური წარმოშობის მქონე ფულის ერთგვარად კრებით-სიმბოლური ერთეული, რასაც დღევანდელ ქართულ ფინანსურ სივრცეში ველარაფრით ველარ იხმარ.

66. XIX-XX საუკუნეების ზღვარზე მოღვაწე ფრანგი დრამატურგი, რომელიც ძალზედ ცნობილი იყო ევროპაში თავისი ვოდევილებით.

67. **(საპრიზო კითხვა №20)** რუსული ესტრადის ერთ-ერთი ყველაზე „კოლორიტული“ წარმომადგენელი... გარკვეული გაგებით.

*შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა*

**მარჯვნივ მოთავსებული ფოტოების ამოცნობა კიდევ 10 ქულას მოგიტანთ (მხოლოდ პირველი ლიგის მონაწილეებს)**
































**მონოდება**

კამილა როზალი კლოდელი ქვეყნიერებას 1864 წლის 8 დეკემბერს მოევლინა. ეს საფრანგეთის პროვინცია შამპანის პატარა ქალაქ ფერში მოხდა. მისი მამა, ლ უ ი - პ რ ო ს პ ე რ კლოდელი, მდიდარი და ღირსეული ადამიანი იყო. ისევე, როგორც ყველა მისი წინაპარი, ეს ადამიანიც უამრავ ქონებას ფლობდა და დიდი შემოსავლების მქონე ბურჟუად ითვლებოდა. დედა – ლუიზა სერვო – მორჩილი ბუნების ადამიანი გახლდათ და საკუთარ სამყაროში იყო გამოკეტილი, სადაც ძირითადი ადგილი დათმობილი ჰქონდათ ბავშვებს, რომლებიც ორ-ორი წლის გამოტოვებით დაიბადნენ: ჯერ გოგონები: კამილა და ლუიზა და შემდეგ ვაჟი - პოლი.

ყველაზე დამჯერი მაინც ლუიზა იყო, რომელიც დედის ყოველ დარიგებას გულისყურით უსმენდა და მშობლებს მეურნეობის წარმართვაშიც ეხმარებოდა. კამილა კი სულაც არ ჰგავდა დედას, იგი ცხოვრებას საკუთარი სამყაროდან ხედავდა და, მშობლებს დიდ საზრუნავს უჩენდა, სულ შორეულ ჰორიზონტზე აზიდულულ ვეება მთებს გაჰყურებდა, რომლის იქით, მისი წარმოსახვით, ნამდვილი ცხოვრება ჩქეფდა.

ო, რა მშვენიერია ბავშვური ფანტაზიის საოცარი სამყარო! - ამას კამილაც გრძნობდა და საკუთარ ნაოცნებარს მხოლოდ ძმას უზიარებდა, რომელიც მის სულიერ სამყაროს ავსებდა და მთლიანად შეესაბამებოდა.

და აი, ერთხელ კამილამ პოლს სანუკვარი ნააზრევი გაანდო - ვგრძნობ, რომ რაღაც დიადის შესამნელად ვარო დაბადებული ამქვეყნად - უთხრა დამ ძმას. პოლ კლოდელი, რომელიც შემდგომ დიპლომატი, მხატვარი, პოეტი და საფრანგეთის აკადემიკოსიც კი გახდა, ასე იხსენებს თავის სათაყვანო დას: „მე მას მხოლოდ სილამაზისა და გენიის ტრიუმფალურ აღზევებაში ეხედავდიო“

* * *

კამილას უიშვიათესი ნიჭი გააჩნდა. მიუხედავად მგზნებარე ხასიათისა, საათობით შეეძლო ძერწვის ვნებაშეპყრობილს უცნაური ფიგურები გამოექანდაკებინა. იგი დაჟინებით სთხოვდა მშობლებს, და-ძმას და სხვებს, რომ მდგარიყვნენ მის წინ და საკუთარი ქანდაკების შექმნის პროცესს დასწრებოდნენ. მისი ბავშვური თითები საოცარი მოქნილობით ზელდნენ თიხას და მანამდე არ მშვიდდებოდნენ, სანამ სასურველ ფორმას არ მისცემდნენ უსახურ მასას.

მაინც ვინ და რამ აიძულა მდიდარი ადამიანების შვილი, კამილა კლოდელი, მძიმე, დამქანცველი შრომის გზა ერჩია და ღარიბული ელფერით მოსილი ცხოვრების გზას დასდგომოდა?

გენალურობას ვერაფერი დააკავებს ადამიანის არსებაში. ის აუცილებლად იჩენს თავს, რაგინდარა წინააღმდეგობა დახვდეს გზაზე და ამ გოგონას ცხოვრების განმსაზღვრელიც ეს თითქმის არაადამიანური თვისება იქცა.

**როდენამდე**

შვიდი წლის კამილა მშობლებმა ქრისტიან ქალთა სკოლაში მიაბარეს, მაგრამ მამის გამუდმებული გადაბარგება-გადმობარგების გამო, გოგონა იძულებული იყო სწავლისათვის თავი დაენებებინა. ოჯახმა სახლში კერძო მასწავლებელი მიიყვანა, რომელიც სამივე ბავშვს გულმოდგინედ უნერგავდა ცოდნას.

კამილა ყველა მეცნიერებას ადვილად ეუფლებოდა. კითხვაც უყვარდა და ანტიკური ხანის მწერლებს ანიჭებდა უპირატესობას, რაც ალბათ, იმით იყო განპირობებული, რომ ანტიკური ხანის ქანდაკება მისი წარმოსახვის მთავარი მაცოცხლებელი წყარო იყო.

1881 წელს ოჯახის უფროსი სამსახურეობრივი მოვალეობის გამოისობით პარიზში დასახლდა და ოჯახიც თან წაიყვანა. კამილა ამ დროს ჩვიდმეტი წლის იყო, ამ ასაკში კი ადამიანს, მოგეხსენებათ, მთელი მომავალი ხელის გულზე აქვს გაშლილი და ყველაფერს ვარდისფრად ხედავს.

მალე კამილამ კოლაროსის აკადემიაში დაიწყო სიარული. ყველა, ვინც ამ გოგონას ნამუშევრებს ხედავდა, აღფრთოვანებას ვერ მალავდა და მის ნიჭს უმალ აღიარებდა. კამილას სკულპტურული ფიგურები სხვა მოსწავლეების ქმნილებათაგან საოცარი იმპროვიზირებულობითა და ორიგინალურობით გამოირჩეოდა. მისი პირველი მასწავლებელი გახდა ალფრედ ბუშე...

სწორედ ამ უკანასკნელმა მიიყვანა ერთხელ 19 წლის კამილა როდენის სახელოსნოში.

**როდენთან ერთად**

თითქოს საგანგებოდ მოხდაო, რომ ბედისწერამ როდენი შეახვედრა ისეთ ადამიანს, რომელიც მხოლოდ მისთვის იყო დაბადებული ამქვეყნად...

კამილა, ეს მშვენიერი და ნიჭიერი გოგონა, სულ მალე როდენის მოსწავლე და მეგობარი გახდა.

პირველი, რამაც დიდი ოსტატი გააოცა, იყო არა კამილას სილამაზე, არამედ მისი საოცარი დახვეწილება და ელეგანტურობა:




„ღრმა ცისფერი თვალების ზემოთ ისე იყო გადაშლილი საჭრეთლით ნაქანდაკარი ქმნილების მსგავსი შუბლი, რაც ადამიანს მხოლოდ ბოტიჩელის ნახატებზე შეუძლია იხილოს“ - ასე აღწერა მოგვიანებით ოგიუსტ როდენმა ეს მომხიბლავი ქალი.

უკვე ზრდადასრულებულ მამაკაცს, რა თქმა უნდა, ჰყავდა სატრფიალო ურთიერთობებისათვის შერჩეული მდედრები, მაგრამ მასში ნამდვილი მამაკაცი მხოლოდ ამ გოგონამ გააღვიძა, რომელიც მასზე ასაკით ორჯერ უმცროსი იყო.

ისინი ერთმანეთის სხეულებს უმზერდნენ ისე, როგორც მხოლოდ მოქანდაკეებს სჩვევიათ, როცა გულში ამა თუ იმ რეალური ფორმის ქანდაკებაში გადატანას ჩაიდებენ ხოლმე!

* * *

ოგიუსტი საშუალო ასაკის, ჯმუხი, ენერგიული მამაკაცი იყო, საოცრად დიდი ხელის მტევნებით, რასაც წარმოუდგენლად მოქნილი თითები ჰქონდა გამობმული, რომლებიც ბუნებას თითქოს მაგიური ძალით დაეჯილდოევებინაო. იგი ქერა, უკვე ოდნავ ჭაღარაშერეული კაცი იყო, რომელიც ასეთივე წვერს ატარებდა და ღრმა ცისფერი თვალებით უმზერდა სამყაროს.

„ - თანახმა ხართ, რომ თაბაშირის ნარჩენები გაიტანოთ სახელოსნოდან?“ - ჰკითხა კაცმა.

„ - მე მზად ვარ ყველაფრისათვის“ - თავი დაუკრა ქალმა.

როდენი ჩაფიქრდა; იგი ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ მისი მოსწავლე და ასისტენტი შეიძლება ყოფილიყო ასეთი პატარა გოგონა და უცებ შეიგრძნო ის, რაც აუცილებლად უნდა შეეგრძნო - როდენს ამ ქალბატონის ქანდაკების შექმნა მოუნდა.

ქალმა ყოველდღე დაიწყო მასთან სიარული. ასუფთავებდა, ალაგებდა, თიხას ზელდა... ოგიუსტი კი შორიდან უთვალთვალებდა. ქალმა არაერთხელ დაიჭირა კაცის მომნუსხველი მზერა, რომელსაც ამ არსების მეტისმეტი ახალგაზრდობა აწუხებდა მხოლოდ. კაცს ჰქონდა ერთადერთი ვნება - ეხილა ამ ქალის სხეული, მაგრამ ბუნებრივი გაუბედავობა არ აძლევდა იმის საშუალებას, რომ გამოეხატა ეს გრძნობა.

ერთხელ კამილა სახელოსნოში გვიანობამდე დარჩა... ოგიუსტის ხელები ქალის სხეულს ისე ეჭდობოდნენ, თითქოს ქანდაკების სასურველი ფორმის მიღება სურსო, იგი იესებოდა ამ სხეულის საოცარი სურნელებით და გრძნობდა მის მრთოლვარებას... ეს იყო უმშვენიერესი სხეული, რომელიც მხოლოდ მარმარილოში შეიძლებოდა განსახიერებულიყო... მალე სისხამის მქრქალმა სხივებმა სანთლების შუქს აჯობეს და ასე დაიწყო **ამბავი დიდი სიყვარულისა**!

* * *

სახელოსნო კი ამ დიადი ტრფობის ერთადერთი თავშესაფარი იყო. ეს გახლდათ მოძველებული ნაგებობა, რომელიც ბაღნარის მწვანე საფარველში მიკარგულიყო... ოდესღაც ეს სახლი შეყვარებულთა სხვა მგზნებარე წყვილის - ჟორჟ სანდის და ალფრედ დე მიუსეის - ტრფობისა და შთაგონების ადგილი გახლდათ, ახლა კი კამილას და ოგიუსტს დაუთმო განგებამ!

...და კვლავ გადაეჭდო ერთმანეთს სიყვარული და შემოქმედება, რაზედაც თვით დროსაც არ ძალუძს მეუფება. სწორედ კამილას სხეულის შეცნობა და შეგრძნება იყო იმ შთაგონებულ ნაქანდაკართა მოვლინება ქვეყნად, რამაც მარადიული სახელი დაუმკვიდრა ქანდაკების დიდოსტატს.

ძერწვისას როდენს არაფერი ახსოვდა და კამილას განძრევისაც კი ეშინოდა... დროდადრო ოსტატი დაუბრუნდებოდა ხოლმე სინამდვილეს და აიძულებდა კამილას, რომ გამუდმებით ევლო მის თვალწინ, რომ პლასტიკაშიც აღექვა მომავალი ქმნილების შტრიხები.ასე იქმნებოდა ის შედევრები, რაც „მარადიული კერპის“, „დანაიდას“, „კოცნის“, სახელითაა ცნობილი.

„- მე არ მინდა შევცვალო შენი ცხოვრება - უთხრა ერთხელ კამილამ - მე მხოლოდ შთაგონება მინდა ვიყო შენთვის“

...მაგრამ სიყვარულის ცეცხლმა მაინც თავისი გაიტანა და ორივეს სული მარადიულ ალში გაახვია. ამას ურთიერთნდობაც დაერთო და როდენ ხშირად ქანდაკების დასრულებასაც კი ანდობდა საყვარელ ქალსა და მოსწავლეს. მათი ცხოვრება უღრუბლო ცას დაემგვანებოდა, რომ არა ერთი რამ...

როდენი ოცი წლის წინ იყო დაქორწინებული როზა ბერეზე, რომლისგან ვაჟიც კი ჰყავდა. როზა უბრალო, ყოფითი პრობლემებით დატვირთული ქალი იყო და ქმრის საქმიანობისა არა გაეგებოდა რა. იგი არც ფინანსურ პრობლემებს უქმნიდა მეუღლეს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს დაინტერესდა იმით, რომ ოგიუსტი ხშირად სხვაგან ათევდა ღამეს, ან ისე გვიან ბრუნდებოდა და ისე დაღლილი იყო, რომ ცოლთან მიკარების არანაირი სურვილი არ გააჩნდა.

შეუძლებელია დამალო ის, რაც არ დაიმალება და მალე როზამ კამილას არსებობა შეიტყო, მაგრამ ამას დიდი უბედურება არ მოჰყოლია, რადგან კაცმა მოახერხა და ორივე ქალს შორის საზიაროდ იქცა.

* * *

ამხანებში ოგიუსტი დღედაღამ შრომობდა, ილებდა უამრავ შეკვეთას, რათა ფინანსური მდგრადობა შეენარჩუნებინა, რაც მხოლოდ მას აღელვებდა, რადგან კამილასათვის მთავარი მისი სული და შემოქმედება იყო. ამიტომაც ზოგჯერ კამათიც უხდებოდათ ამა თუ იმ ნამუშევრის შესახებ, იყო წყენაც, მაგრამ ყველა ეს უამური და გაუგებრობა უკან იხევდა, როცა ღამე ეშვებოდა ბაღნარში მიკარგულ სახლში და ისინი სიყვარულის მორევში ცურავდნენ!

რას ფიქრობდა ამ დროს როზა?

ეს ქალი, რომელსაც არასოდეს უფრენია ღრუბლებში იმასდა ცდილობდა, რომ ოგიუსტის ნაწილი მაინც შეენარჩუნებინა სახლში და ამით არ დანგრეულიყო მისი ცხოვრების მთავარი აზრი - ოჯახი!

**განშორება**

*(ანუ დასასრული შემდეგ ნომერში)*

# გახსოვდეთ, რომ დიდი ნახატები დიდ მოთმინებას მოითხოვენ




## სამშაბათის „ფანტაზიაში" მიმდინარე იაპონელ მხატვართა კონკურსის მონაწილეთა თხოვნით ვაქვეყნებთ გასული ტურის შედეგ შექმნილ სატურნირო მდგომარეობას

13 ქულა - ლია გაბედავა, ზიზი ბუბაშვილი.

11 ქულა - მაია ურუშაძე, ვახტანგ ნანავა, შალვა ასპანიძე.

10 ქულა - სოლომონ მამუჩიშვილი, კოტე ხუციშვილი, მამუკა ნაცვლიშვილი.

9 ქულა - ნუგზარ სამჭკუაშვილი.

8 ქულა - მიხეილ ტურაშვილი, ალექსანდრე ბაზაძე, ავთანდილ წიქარიშვილი, სალომე ჯინჯოლავა.

7 ქულა - ლია ხუციშვული, მანანა აბულაძე, გია ნარინდოშვილი, დათო გაჩეჩილაძე, გიორგი შეკრელიძე, კობა დალაქიშვილი, დავით ტურიაშვილი.

6 ქულა - პაატა ცირეკიძე, გიორგი რაზმაძე.

5 ქულა - ზურაბ წერეთელი, პაატა მიშველიძე, რეზო შალამბერიძე.

4 ქულა - დათო ჭილიტაშვილი.

3 ქულა - გია დალაქიშვილი.

2 ქულა - იოსებ გაგნიძე, გია ჯავახაძე, შალვა ბოგვერაძე.

პასუხები კი ასეთია:

1) დათვი 4 წლის და 9 თვისაა, რადგან ასო ა-ს 5-იანამდე სამი უჯრა აკლია.

2) ეს არის არაბული ტაიჭი, რომელიც ფრიდონმა აჩუქა ტარიელს და 7 წელი დაატარებდა მას. შვიდიანი ცხენის ყურთან ჩანს.

*მასალა დამუშავებულია „ფანტაზიის" რედაქციის მიერ*

# მე-20 საუკუნის 500 ყველაზე ცნობილი ადამიანი

**312. მეფე ნიკოლოზ II**
(1868-1918)
**რუსეთის მეფე**

რუსეთის ტახტზე 1894 წელს ავიდა და მმართველობის მთელი მსვლელობის განმავლობაში ცდილობდა აბსოლუტური მონარქიის შექმნასა და ყოველგვარი ოპოზიციის დათრგუნვას. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ იგი დათმობებზე წავიდა და რუსეთში პარლამენტის (დუმას) შექმნაზე გამოთქვა თანხმობა. პირველი მსოფლიო ომის წლებში იგი პირადად მართავდა რუსეთის არმიას და საკმაო წარმატებითაც. 1917 წლის ბოლშევიკურმა რევოლუციამ დაამხო მისი მეფობა და იგი შვილებთან ერთად სიკვდილით იქნა დასჯილი.

**313. ჩესტერ ნიმიცი**
Nimitz, Chester (1885-1965)
**ამერიკელი ადმირალი**

1905 წელს აშშ-ს საზღვაო აკადემიის დამთავრების შემდეგ აქტიურ სამხედრო კარიერას შეუდგა და უმაღლეს თანამდებობებსაც მიაღწია. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა წყნარი ოკეანის ფლოტს მეთაურობდა, რომელმაც საბოლოოდ შეზღუდა იაპონელთა ბატონობა ამ რეგიონში.

**314. რიჩარდ ნიქსონი**
Nixon, Richard
(1913-1994)
**აშშ-ს 37-ე პრეზიდენტი**

დაიბადა კალიფორნიის შტატში. უმაღლესი განათლება, იურიდიული განხრით, აქვე მიიღო. ახალგაზრდული წლებიდანვე ჩაება აქტიურ პოლიტიკაში. 1942 წლიდან საზღვაო ფლოტში მსახურობდა. 1946 წელს გახდა სენატის წევრი, 1950 წლიდან კი ერთ-ერთი წარმმართველი ადგილი ეკავა ამ ორგანოში. 1952 წელს პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ნიქსონი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე დაამტკიცა. ამ რანგში მან არაერთხელ იმოგზაურა მსოფლიოს ცხელ წერტილებში, ჰქონდა შეხვედრები საბჭოთა კავშირის მაშინდელ ლიდერ ნიკიტა ხრუშჩოვთანაც. 1962 წელს დამარცხდა საპრეზიდენტო არჩევნებში ჯონ კენედის წინააღმდეგ და მთელი ექვსი წლის განმავლობაში ჩამოშორდა პოლიტიკურ ელიტას. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მას მოუხდ ვიეტნამის ომის მძიმე შედეგების ლიკვიდაცია და მსოფლიოს სხვა რეგიონებში საომარი პროცესების შეჩერება. მისი მმართველობის წლებში კეთილგანწყობლური ურთიერთობა დამყარდა როგორც ჩინეთთან, ასევე საბჭოთა კავშირთანაც, რის დასტურიც მისი 1972 წლის ვიზიტი იყო მოსკოვში. 1974 წელს გადადგა თანამდებობიდან ე.წ. „უოტერგეიტის სკანდალის" გამო.







**315. კვამე ნკრუმაჰი**
Nkrumah,Kwame (1909--1972)
**განელი პოლიტიკოსი**

უმაღლესი განათლება მიიღო როგორც აშშ-ში, ასევე დიდ ბრიტანეთშიც. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აქტიურ პოლიტიკაში ჩაება და განის პირველი პრემიერ-მინისტრი გახდა. თანამდებობიდან გადააყენეს 1966 წელს სამხედრო აჯანყების შედეგად.

**316. რუდოლფ ნურიევი**
**ბალეტის მოცეკვავე**
(1938-1993)

XX საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა ხელოვანმა საბალეტო ხელოვნებაში რუდოლფ ნურიევმა მოღვაწეობა ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიწყო. 1961 წელს იგი ემიგრაციაში წავიდა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო დიდი ბრიტანეთის სამეფო საბალეტო თეატრის სოლისტი. 70-იან წლებში კი ნურიევი პარიზის საოპერო და საბალეტო თეატრის ხელმძღვანელი გახდა. იგი ცეკვას 50 წლის ასკშიც განაგრძობდა, მაგრამ 55 წლისას შიდს-ის ვირუსი შეეყარა, რამაც შეიწირა კიდეც მისი სიცოცხლე.

**317. ჯულიუს ნიერე**
Nyerre, Julius (1920-)
**ტანზანიელი პოლიტიკოსი**

განათლება უგანდასა და დიდ ბრიტანეთში მიიღო. მისი თაოსნობით 1954 წელს შეიქმნა ტანგანიკის ეროვნული კავშირი და ამ ქვეყნის პირველი პრემიერ-მინისტრიც გახდა. მცირე ხნის შემდეგ მანვე შეძლო ტანგანიკისა და ზანზიბარის გაერთიანება და ერთიან ქვეყნას, ტანზანიას, ჩუდგა სათავეში, რომელსაც 1985 წლამდე მართავდა.

**318. ჯორჯია ო'კიფი**
O'Keefe, Georgia (1887-1986)
**ამერიკელი მხატვარი**

ხელოვნების უმაღლეს მწვერვალებს 70-იან წლებში მიაღწია, როცა გამოფინა ნამუშევრები, რომლებშიდაც ასახული იყო გასული საუკუნის ყველა დიდი მოვლენა თუ ისტორიული პიროვნება. მას ახასიათებდა ერთგვარი აბსტრაქტული ხილვა სამყაროსი, რის ასახვასაც ფერის არატრადიციული გამოყენებით ახერხებდა.

**319. ლოურენს ოლივიე**
Olivier, Laurence (1907-1989)
**მსახიობი**

ლოურენს ოლივიე უდავოდ XX საუკუნის უდიდეს მსახიობად ითვლება. მან თავისი თეატრალური და კინო კარიერა 18 წლის ასაკში დაიწყო ლონდონში, შემდეგ დიდხანს გამოდიოდა ბროდვეის თეატრალურ სცენებზე, არაერთი დასამახსოვრებელი როლი შექმნა ჰოლივუდის კინოპროდუქციაშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის სახეები, რაც ოლივიემ შექსპირის ტრაგედიებში შექმნა, რამაც მას მსოფლიო დიდება მოუპოვა. 1947 წელს მას რაინდის, 1970 წელს კი პერის ტიტული მიენიჭა. იგი სცენაზე სიცოცხლის ბოლო დღეებამდე გამოდიოდა.










**320. იუჯინ ო'ნილი**
O'Neill, Eugene
(1888-1953)
**ამერიკელი დრამატურგი**

იუჯინ ო'ნილი სამართლიანად ითვლება ამერიკის უდიდეს დრამატურგად და სასცენო ხელოვნების რეფორმატორად. მისი შემოქმედების მთავარი თემა ადამიანის რეალური ცხოვრებისა და წარმოსახვითი სამყაროს ტრაგიკული შეუსაბამობა იყო, რასაც არაერთი პიესა მიუძღვნა, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ: „უფლის ყველა შვილს ფრთები აქვს", „ხანგრძლივი მოგზაურობა ღამეში", „გლოვა ელექტრას ხვედრია" და სხვა. 1936 წელს მიენიჭა ნობელის პრემია.

**321. თომას ო'ნილი**
O'Neill, Thomas (1912-1994)
**სენატის სპიკერი**

აშშ-ს პოლიტიკური ცხოვრების თვალსაჩინო მოღვაწე თომას („ტიპ") ო'ნილი დაიბადა მასაჩუსეტსის შტატში. 1953 წელს აირჩიეს წარმომადგენელთა პალატაში, სადაც 1971 წლამდე მოღვაწეობდა, რის შემდეგაც სათავეში ჩაუდგა ამ ორგანოს. 1977 წელს სენატის სპიკერი გახდა, რასაც ხელმძღვანელობდა 1987 წლამდე, როცა საკუთარი განცხადებით გადადგა თანამდებობიდან.

**322. რობერტ ოპენჰეიმერი**
Oppenheimer, Robert
(1904-1967)
**ფიზიკოსი**

„ამერიკული ატომური ბომბის მამად" წოდებულმა ფიზიკოსმა რობერტ ოპენჰეიმერმა განათლება ჰარვარდისა და კემბრიჯის უნივესიტეტებში მიიღო. 1943-45 წლებში იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამერიკაში ატომური ბომბის შექმნის საქმეს. ომის დამთავრების შემდეგ სათავეში ედგა აშშ-ს რიგ სამეცნიერო დაწესებულებას, როგორიცაა აშშ-ს ატომური კვლევის კომისია, პრინსტონის ფუნდამენტური კვლევის ინსტიტუტი და სხვა. აქტიურად ილაშქრებდა წყალბადის ბომბის შექმნის წინააღმდეგ, რის გამოც 1953 წელს ჩამოაშორეს საიდუმლო სამხედრო საქმიანობას და ბრალად ღალატიც კი დასდეს.

**323. ჯორჯ ორუელი**
Orwell, George (1903-1950)
**ინგლისელი მწერალი**

ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა ჯორჯ ორუელმა თავის რომანებში „1984" და „პირუტყვების ფერმა" გამოხატა ადამიანის პიროვნული თავისუფლების იდეები. აქტიურად მოღვაწეობდა პუბლიცისტიკის სფეროშიც; იგი კაპიტალიზმის ნგრევის შემდეგ ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებას ქადაგებდა. იყო ერთ-ერთი პირველი მათ შორის, ვინც „ცივი ომის" წინააღმდეგ აღიმაღლა ხმა და დიდი ბრიტანეთის კოლონიალურ პოლიტიკას დაუპირისპირდა.

**324. ჯესი ოუენსი**
Owens, Jesse (1917-1980)
**ამერიკელი სპორტსმენი, მძლეოსანი**

მეოცე საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა სპორტსმენმა ჯესი ოუენსმა თავის ყველაზე დიდი გამარჯვებები 1936 წლის ბერლინის ოლიმპიადაზე მოიპოვა,სადაც დაეუფლა 4 ოქროს მედალს: 100 და 200 მეტრზე სირბილში, 4X100 მეტრზე ესტაფეტაში და სიგრძეზე ხტომაში. მსგავსი წარმატება მას შემდეგ პრაქტიკულად აღარავის მოუპოვებია მძლეოსნობის ოლიმპიურ ისტორიაში; ეს არნახული მიღწევა იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ გამარჯვებები მოპოვებულ იქნა ფაშისტური გერმანიის წიაღში, სადაც ჰიტლერი და მისი მომხრენი მხოლოდ გერმანელი ათლეტების გამარჯვებებს წინასწარმეტყველებდნენ და უცხოელ სპორტსმენებს ყოველგვარად უშლიდნენ ხელს გამარჯვებებისაკენ სვლაში. მისი რეკორდი 100 მეტრზე სირბილში, - 10,2 წამი - 1960 წლამდე ვერავინ მოხსნა. 1976 წელს ჯესი ოუენსს პრეზიდენტის მედალი მიენიჭა დიდი დამსახურებებისათვის.




# ალაბამა

**ალაბამა** (Alabama) მდებარეობს ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი ნაწილის სამხრეთით, აპალაჩების მთების დაბოლოებაზე, მექსიკის ყურის პირას.

ეს რეგიონი დამოუკიდებელი სტატუსით **1819 წლის 14 დეკემბერს** შევიდა აშშ-ს შემადგენლობაში, როგორც **რიგით 22-ე შტატი**.

სიტყვა „ალაბამა“, როგორც ფიქრობენ, ადგილობრივ ინდიელთა ენიდანაა აღებული და იქ არსებული მდინარის სახელს ეფუძნება. აზრობრივად კი შედგენილი უნდა იყოს ჩოკტაუს ტომის ენის ორი სიტყვით (*alba*) - მცენარეული საფარი და (*amo*) - დაფარული.

სხვაგვარად ალაბამას ყვითელი გრატას შტატსაც უწოდებენ იმ ყვითელი ფორმის თანახმად, რასაც სამოქალაქო ომის დროს ამ რეგიონის მებრძოლები ატარებდნენ.

ალაბამა აპალაჩის მთებიდან ტერასებად და ზეგნებად ეშვება მექსიკის ყურისაკენ და ერთგვარ რელიეფურ საფეხურებს ქმნის, რასაც შუაზე კვეთს მდინარე ალაბამა. ზოგადად ამ შტატის მთელი პანორამა მცირე სიმაღლის ბორცვებითა და ტყით დაფარული გრძელი სერებით ხასიათდება. თავად მექსიკის ყურის სანაპიროც საკმაოდ არათანაბარია და ძირითადად ტყეებითა და დაჭაობებული ადგილებით გამოირჩევა, თუმცა აქ უკვე საკმაოდაა დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რაც ამ შტატისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.


პიემონტის პლატო

**ალაბამა** /ālə-bām ə/

**ფართობი** - 135 293 კვ.კმ. (52,237 კვ.მილი) - აშშ-ს სიდიდით 30-ე შტატი.
**მაქსიმალური სიგრძე** - 533 კმ
**მაქსიმალური სიგანე** - 338 კმ
**მოსახლეობა** - 4 300 000 (1995 წ).
**მოსახლეობის სიხშირე** - 30 ადამიანი - 1 კვ.კმ.-ზე
**ადმინისტრაციული ცენტრი** - მონტგომერი



**დროშა** *თეთრ ფონზე გადაჭდობილი ორი სქელი წითელი ზოლი*




**ღერბი** - *წარწერით (Alabama Great Seal);*



**ფრინველი** - *ყვითელი გრატა (Yellowhammer);*



**ყვავილი** - *კამელია (Camellia)*



**ხე** - *სამხრეთული ფიჭვი (Southern Pine).*

**დევიზი** - *ლათ.* - ***Audemus jura nostra defendere;*** *(ჩვენ შევძლებთ ჩვენი უფლებების დაცვას)*

- თანამედროვე ალაბამა 67 ოლქადაა დაყოფილი.

- მოსახლეობის რაოდენობის მხრივ აშშ-ში 22-ე ადგილი უკავია. მთელი მოსახლეობის 76,3 %-ს თეთრკანიანები შეადგენენ, 25,3 % - შავკანიანი მოსახლეობაა, რაც ყველაზე დიდი მაჩვენებელია სხვა შტატებთან მიმართებაში; ალაბამას სამხრეთი რეგიონები, განსაკუთრებით მექსიკის ყურის სანაპირო, პრაქტიკულად მხოლოდ შავკანიანებითაა დასახლებული,

- სარწმუნოებრივად მოსახლეობის უმრავლესობას, 90%-ს პროტესტანტები შეადგენენ, 5%-ია კათოლიკური ეკლესიის მიმდევარნი, არიან იუდეველებიც.

- ალაბამას უდიდესი ქალაქი მოსახლეობის მხრივ არის ბირმინგემი; სხვა ქალაქებში ასეთი სიტუაციაა: მობილე (210 000), მონტგომერი (200 000), ჰანსტვილი (170 ათასი), ტუსკალუსა (80 ათასი), დოტანი (60 ათასი), ფლორენცია (40 ათასი), პრიჩარდი (35 ათასი), ანისტონი (30 ათასი).

## ისტორიული ექსკურსი

რასელის გამოქვაბულში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ ალაბამას მიწები 8 000 წლის წინ აითვისა ადამიანმა და ესენი უძველესი მონადირეები იყვნენ. დაახლოებით 3000 წლის წინ კი ამ ადგილებზე ადამიანი საბოლოოდ დასახლდა და საკმაოდ მაღალი ცივილიზაცია შექმნა.

### ესპანელი პირველაღმომჩენები

თანამედროვე ალაბამაში პირველი ევროპელები ის ესპანელები იყვნენ, რომლებიც ოქროს მოძიების სურვილით იყვნენ შეპყრობილნი. ცნობილია თარიღიც, 1539 წელი, როცა კონკისტადორ ერნანდო სოტოს შეიარაღებული ჯგუფი მექსიკის ყურის სანაპიროებს შეესია. 1559 წლიდან დაიწყო ევროპელთა უფრო დიდი რაზმების მიერ განხორციელებული დარბევები, რამაც საბოლოოდ ადგილობრივი მოსახლეობის გახიზვნა და ზანგი მონების ჩასახლება გამოიწვია.

### ფრანგული კოლონიზაცია

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ალაბამის ტერიტორიების ათვისება ფრანგმა კოლონიზატორებმა დაიწყეს და 1682 წლისათვის მექსიკის ყურიდან თითქმის კანადამდე მთელ რეგიონს დაეპატრონნენ და სახელიც შესაბამისად ფრანგული - **ლუიზიანა** - უწოდეს. რეგიონში დიდი რაოდენობით ჩასახლდა ევროპიდან სავაჭროდ, თუ სხვა მიზნებით ჩასული,მრავალი ადამიანი და ტიპიური მონათმფლობელური საზოგადოება შეიქმნა, სადაც აფრიკიდან გატაცებული ზანგების საშუალებით ხორციელდებოდა ყოველგვარი სამეურნეო-საწარმოო პროცესი.

### საზღვრების გადასინჯვა

XVIII საუკუნის შუახანებში სამხრეთის ტერიტორიებზე საკუთარი პრეტენზიები განაცხადეს ბრიტანელმა კოლონიზატორებმაც, რაც დიდ კონფლიქტში გადაიზარდა და ბრიტანეთ-საფრანგეთის 1754-1763 წლების საომარ დაპირისპირებაში აისახა. ომში გამარჯვებული დიდი ბრიტანეთი გამოვიდა და ამ ქვეყნიდან გადასახლებულმა მოქალაქეებმა ე.წ. „ჩრდილოური“ რეგიონების საზღვრები ფლორიდამდე გადაწიეს, სადაც კვლავაც ესპანელები ბატონობდნენ; ფრანგებმა კი ამ დროიდან საერთოდ დაკარგეს კონტროლი თანამედროვე აშშ-ს სამხრეთ რეგიონებზე.

1775-1783 წელს ალაბამა გახდა ცენტრი იმ მეამბოხური სულისკვეთებისა, რაც ახლადშექმნილი აშშ-ს წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ ამბოხმა შედეგი არ გამოიღო და XIX საუკუნის დასაწყისისათვის პრაქტიკულად მთელი სამხრეთი ნაწილი თანამედროვე შეერთებული შტატებისა საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს დაემორჩილა.

1812 წელს ალაბამა გახდა კიდევ ერთი საომარი კონფლიქტის არენა, რაც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის მოხდა, მაგრამ ყველაფერი მაინც იქით მიემართებოდა, რომ ეს რეგიონი 1819 წელს დამოუკიდებელი სტატუსით გაწევრიანებულიყო აშშ-ში.

**ბირმინგემი** - ალაბამას უდიდესი ქალაქია, რომლის მოსახლეობამ ახლახან 300 000-ს მიაღწია.

ქალაქი მდებარეობს აპალაჩების მთების ფერდობზე. ის XIX საუკუნის დასაწყისში ინგლისის ქალაქ ბირმინგემის მკვიდრმა ბიზნესმენებმა დაარსეს და საკუთარი ფირმის სახელი მთელ დასახლებაზეც გაავრცელეს.

ბირმინგემი ალაბამის ერთ-ერთი საუნივერსიტეტო ცენტრია ჰანსტვილსა და ტუსკალუსასთან ერთად.





**თარაზულად**:

